

ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის
N65 ბინაზე, მოქალაქე ვეფხვია შეყლაშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N65 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ვეფხვია შეყლაშვილის განცხადება /2013 წლის 04.02 Nშ-1185/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლი N65 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N65 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვეფხვია შეყლაშვილს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N65 ბინაზე /საერთო ფართობი 60,58 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,58 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,00 კვ.მ./ მოქალაქე ვეფხვია შეყლაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ა.ძოწენიძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე